საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალმა არსებობის 10 წლის იუბილე აღნიშნა

23 დეკემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის მე-8 საერთო კრება გაიმართა. კრებას საია-ს თავმჯდომარე გიორგი ჩხეიძე, თავმჯდომარის მოადგილე ლალი ჩხეტია და ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფილიალის თავმჯდომარემ კრებას საქმიანობის შესახებ წლის ანგარიში წარუდგინა, გაიმართა მსჯელობა ფილიალის პრიორიტეტულ მიმართულებებზე. ქუთაისის

ფილიალისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება სასამართლოს დამოუკიდებლობა, ბრძოლა სამართალდამცავების მიერ ძალაუფლების გადამეტებისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ და სხვა.

საერთო კრებამ აირჩია ფილიალის გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გამგეობის შემადგენლობა:
1. მადონა ბასილაძე
2. ლაშა გვენეტაძე
3. თეონა კუჭავა
4. თამარ ობოლაძე
5. ზაალ გორგიძე

სარევიზიო კომისიის შემადგენლობა:
1. მიხეილ ჩოგოვაძე
2. რეზო თოფურია
3. ზვიად კოღუაშვილი

ასევე, 23 დეკემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალმა არსებობის 10 წლის იუბილე აღნიშნა, სადაც მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი პირები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები.
საიუბილეო ღონისძიებაზე თანაშემწეებს, ფილიალის წევრებსა და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულ სათაო ოფისის წარმომადგენელებს სიგელები და სერთიფიკატები გადაეცათ.